პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გაზეთი გამოდის 38-ე წელი № 184 (10881) | სამშაბათი, 6 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საქართველოს მშრომელები ახალი შრომითი წარმატებებით უპასუხებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის შესახებ

პროდუქციის ხარისხი — ყურადღების ცენტრში

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, ცენტრალური საკითხია პროდუქციის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება.

პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებელი ასახავს მოცემული საწარმოს მუშაობის სიავკარგეს. მასში ვლინდება კოლექტივის დარაზმულობა, კადრების კვალიფიკაციის დონე, ტექნოლოგიის პროგრესულობა, წარმოების კულტურა, დისციპლინის სიმტკიცე. გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულება ფასს და მნიშვნელობას კარგავს, თუ ამასთან დაცული არ არის პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ბოლო ხანებში, როგორც ეს საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის ინიციატივით ამას წინათ მოწვეულ სამეურნეო-პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა, საწარმოო მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი — წუნთან ბრძოლისა და პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისადმი ყურადღება საგრძნობლად შეასუსტეს განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ბევრ საწარმოში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას ბოლომდე ვერ მიჰყვნენ, პირველი წარმატებებით დაკმაყოფილდნენ.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელთა მუშაობა. აპრილსა და მაისში ამ ქარხნის სამეურნეო, პარტიულმა და პროფკავშირულმა ხელმძღვანელებმა დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდეს ხელი ახალი ტექნიკის დანერგვას, შეუდგნენ შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, წარმოების ყველა შემაფერხებელი მიზეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებას და კარგი შედეგიც მიიღეს. მაგრამ შემდგომში შეანელეს დაწყებული მუშაობის ტემპი, ვერ გამოიჩინეს ჯეროვანი სიმტკიცე, და პროდუქციის — ფოლადისა და თუჯის საჩარხე დეტალების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საქმე ერთ ადგილზე შეჩერდა. საჩარხე სხმულების გასაწმენდი ახალი მექანიზმი — საფანტსატყორცნი კამერა, რომელიც აქ უკვე რამდენიმე თვის წინათ მიიღეს, ჯერაც არ აუმუშავებიათ, ასევე ე. წ. კოშკურა სეპარატორი და სხვ. ყოველივე ამის შედეგად წლის პირველ ნახევარში ფოლადთუჯსმსხმელების მიერ გამოშვებული ლითონსხმულიდან 478,5 ტონა დაწუნებულ იქნა და ქარხანამ დიდძალი ჯარიმა გადაიხადა.

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა თბილისმა, როგორც მსუბუქი ჩარხმშენებლობის ცენტრმა, უკვე გაითქვა სახელი მთელ საბჭოთა კავშირში და მის საზღვრებს გარეთაც. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დამზადებული ლითონდასამუშავებელი ჩარხები მუშაობენ არა მარტო რუსთავში, ქუთაისში, ბაქოში, ხარკოვში და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ცენტრების ქარხნებში, არამედ სახალხო დემოკრატიის თითქმის ყველა ქვეყნის ქარხნებში და მრავალი კაპიტალისტური ქვეყნის საწარმოებშიც.

თბილისელი ჩარხმშენებლების სახახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი კარგად დაეუფლნენ უმაღლესი სიზუსტის ლითონდასამუშავებელი ჩარხების წარმოების საქმეს, თანდათან ამცირებენ ჩარხების თვითღირებულებას, აუმჯობესებენ მათს კონსტრუქციას. მაგალითად, ერთ-ერთი მოდელის ჩარხის თვითღირებულება წელს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შეფარდებით 268 მანეთით შეამცირეს, შრომის ნაყოფიერება 7,9 პროცენტით აამაღლეს, მაგრამ ამასთან კიდევ ვერ მიაღწიეს წარმოების კულტურის ისეთ დონემდე აყვანას, რომ მომხმარებელ საწარმოთაგან რეკლამაციების მიღება აღიკვეთოს. ხშირად ეს რეკლამაციები, ჩარხმშენებლებისადმი საყვედურები გამოწვეულია არა მარტო წარმოების გაუმართავობით, არამედ ქარხნის ცალკე მუშაკთა უდისციპლინობით, დაუდევრობით.

ამას წინათ კიროვის სახელობის ქარხნიდან მურმანსკის ერთ-ერთ საწარმოს გაეგზავნა ორი უნივერსალური ჩარხი. აღმოჩნდა რომ ჩარხების გაადგილებისას ნ. კაკაბაძეს დავიწყებოდა ყუთში სხვა საჭარხე დეტალებთან ერთად ე. წ. დასატანებელი ვაზნების ჩადება, უამისოდ კი ჩარხის ამუშავება არ შეიძლება. ასევე ლენინგრადში გაგზავნეს ორი ჩარხი, მაგრამ სათანადო ტექნიკური დოკუმენტაციის გაგზავნა დააავწყდათ და, ცხადია, რეკლამაცია მიიღეს.

ბოლო დროს ჩარხმშენებლებმა საწარმოო წუნის დაშვების შემთხვევები გაახშირეს. მარტო მიმდინარე წლის განვლილ პირველ ნახევარში წუნით გამოწვეულმა ზარალმა ქარხანაში 589.000 მანეთი შეადგინა, ხოლო შარშან შესაბამის თვეებში ამავე მიზეზით გამოწვეული იყო 298.000 მანეთი ზარალი.

ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. ფოლადთუჯსმსხმელებმა და ჩარხმშენებლებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის, საქარხნო მარკის ღირსების დასაცავად.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში სავსებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა არც მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში გვაქვს. საქართველოს ფეხსაცმლის ფაბრიკებში შეკერილი ტყავის ფეხსაცმელი გამძლეობით ჩამორჩება მოსკოვისა და ლენინგრადის ფაბრიკების ასეთსავე პროდუქციას. ქუთაისელმა აბრეშუმმქსოველებმა ჯერაც ვერ შეძლეს ხამი ქსოვილების ხარისხის ამაღლება, ქსოვილების ზოლიანობის აღმოფხვრა, რითაც ხელს უშლიან მათი პროდუქციის მომხმარებლის — თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშაობას. ამ ფაბრიკაში იმის გამო, რომ ქუთაისელმა კოლეგებმა მათ დაბალხარისხოვანი ხამი ქსოვილები გამოუგზავნეს, გასულ წელს ქსოვილთა მაღალი ხარისხიდან დაბალ ხარისხში გადაყვანით 1.741.900 მანეთი იზარალეს, ხოლო წელს განვლილ პირველ ნახევარში დაბალი ხარისხის გამო ქსოვილთა ჩამოფასების თანახმად ზარალმა 830.000 მანეთს მიაღწია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისმა სათანადო სამმართველოებმა მრეწველობის მუშაობის ამ უბანზე მდგომარეობის გამოსასწორებლად ახლავე უნდა მიიღონ საჭირო ღონისძიებანი. ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ გადაჭრით აამაღლონ პროდუქციის ხარისხი.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასების მონაწილეობას, მათი შემოქმედებითი აზრის გამოყენებას, იმას, რომ ამ ბრძოლას უნარიანად ჩაუდგნენ სათავეში ადგილობრივი პროფკავშირული ორგანიზაციები, რომლებსაც ყოველი შესაძლებელი დახმარება უნდა გაუწიონ საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება საწარმოთა კოლექტივების ღირსების საქმეა, მათი პატრიოტული მოვალეობაა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის გამგზავრებისათვის

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სთხოვეს სსრ კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას მიმდინარე წლის აგვისტოში ეწვიოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ მიიღეს ეს მიწვევა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით გამგზავრებისათვის დანიშნეს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ი. ვ. სპირიდონოვი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, მოსკოვის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზ. ვ. მირონოვა, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ე. სემიჩასტნი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გ. მ. პუშკინი.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია მოსკოვიდან გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაემგზავრება 7 აგვისტოს.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოგზაურობის დროს თან გაჰყვებიან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ლ. თ. ილიჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ი. ტ. ვინოგრადოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ი. ი. ილიჩოვი, თ. თ. მოლოჩკოვი.

თბილისი. საბურთალოს აგურის მექანიზებული ქარხნის მთავარი მექანიკოსი ა. ადუაშვილი მუშებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ“.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მაღალი შრომითი აქტივობით

რუსთავი. (საკ. კორ.). ახალგაზრდა ინდუსტრიული ქალაქის საწარმოებსა და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში ხელიდან ხელში გადადის გაზეთის ახალი ნომრები, რომლებშიც საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაა გამოქვეყნებული.

რუსთავის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მომუშავე ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის ბინათმშენებლებს ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსი გააცნეს აგიტატორებმა ა. ირემაშვილმა, ს. გელაშვილმა, შ. გოგოლაძემ და სხვებმა.

— პარტია და საბჭოთა მთავრობა — თქვა კალატოზმა ვ. წიკლაურმა, — ამოცანად გვისახავენ უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ საბინაო ფონდის მნიშვნელოვან მატებას, რათა უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოეღოს ბინების ნაკლებობას. ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისაკენ მიმართული ამ ღონისძიების წარმატებით განხორციელება ჩვენგან, ბინათმშენებლებისაგან, მოითხოვს გაეძლიეროთ ბრძოლა სწრაფი, იაფი და მაღალხარისხოვანი მშენებლობის უზრუნველყოფისათვის, არსებული რეზერვების მაქსიმალურად გამოყენების, ინდუსტრიული მეთოდების კიდევ უფრო ფართო მასშტაბით დანერგვისათვის. პირადად მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველდღიური დავალება სულ მცირე 150-160 პროცენტით გავანაღდო.

პარტიისა და მთავრობის ახალი დადგენილების პასუხად ასევე გადიდებული ვალდებულებები აიღეს კალატოზმა მ. ოსიაშვილმა, მლესავმა ე. ჯოხარიძემ, დურგალთა ბრიგადირმა ს. მეგრებანოვმა.

ახალი სახლები მემახლეებს

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი ბინათმშენებლები უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებას სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ. კალატოზთა ბრიგადირმა დავით ბაღდავაძემ განაცხადა:

— ტყიბულში ფართოდ არის გაჩაღებული საბინაო მშენებლობა. მიხარია, რომ ბევრი იმ მრავალსართულიანი სახლის მშენებლობაში, რომელიც ახლა ქალაქს ამშვენებს, ჩემს ბრიგადას მიუძღვის წვლილი. თავის აშენებულ სახლში ცხოვრობს ბევრი მშენებელი. პარტიისა და მთავრობის ამ ახალი დიდმნიშვნელოვანი დადგენილების პასუხად ჩემი ბრიგადა, რომელიც აგურის წყობის ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს, კისრულობს შემდგომ აამაღლოს შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 10 პროცენტით.

დადგენილების პასუხად ახალი ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მშენებლებმა ო. ოთხოზარიამ, ა. კილაძემ და სხვებმა.

ტყიბულელმა ბინათმშენებლებმა წელს უკვე გადასცეს საექსპლოატაციოდ ორი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, ერთი ექვსბინიანი სახლი და ერთი კოტეჯი. სამშენებლო სამმართველოს კოლექტივმა იკისრა 4.700 კვადრატული მეტრის ნაცვლად წელს საექსპლოატაციოდ გადასცეს 5.000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ფართოვდება კოლექტიური ბინათმშენებლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა შეაფასეს, როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს პარტიისა და მთავრობის შეუნელებელ ზრუნვას მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საინტერესოა, რომ ამ დადგენილების შინაარსის გულდასმით გაცნობის შემდეგ ქარხანაში ბევრ მუშას და ინჟინერ-ტექნიკოსს აღეძრა სურვილი პირადი შრომითი მონაწილეობა მიიღონ ბინათმშენებლობის განვითარებაში.

საქარხნო პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ამ რამდენიმე თვის წინათ აღრიცხა ის მუშები, მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებიც ჩვენთან მუშაობენ და ბინები ესაჭიროებათ. სულ აღმოჩნდა 150-მდე კაცი. რა დასაფარავია, დადგენილების გამოქვეყნებამდე მუშები უხალისობას იჩენდნენ ინდივიდუალურ ბინათმშენებლობაში. — არ მოგვეხმარებიან, როგორც საჭიროა, ისე კი ჩვენ თავს ვერ გავართმევთ თუნდაც პატარა საცხოვრებელი სახლების აგებას, — ამბობდნენ ისინი.

ახლა ყველას სჯერა, რომ საბინაო მშენებლობაში მათ ხელს შეუწყობენ, და ამიტომ მასობრივად აცხადებენ საშენებლო მიწის ნაკვეთების მიღების სურვილს.

საქარხნო კომიტეტში მასობრივად შემოდის განცხადებები საცხოვრებელი სახლების კოლექტიურ მშენებლობა სიაში მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების ჩარიცხვის შესახებ. დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ მარტო ორ დღეში ქარხნის 100-მდე მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა განაცხადა სურვილი მონაწილეობა მიიღონ საკუთარი ძალებით საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში.

ა. ჯელაძე,
თბილისის ავტომობილშემკეთებელი ქარხნის პროფკავშირული კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველო აღფრთოვანება

თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებზე, ტრანსპორტზე, მთელ მოსახლეობაში უმაგალითო აღფრთოვანება გამოიწვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ.

— ეს არის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მხრივ მოსახლეობის კეთილდღეობისათვის შეუნელებელი ზრუნვის კიდევ ერთი ბრწყინვალე დადასტურება, — ამბობენ ყველგან საბჭოთა ადამიანები. ასე თქვეს თბილისის საელექტროენერგეტიკო დეპოშიც.

ამ დეპოს კოლექტივმა, როგორც ცნობილია, გორკელთა მაგალითისამებრ გაზაფხულზე დაიწყო საკუთარი ძალებით სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება. დეპოელი მემანქანეები, ზეინკლები, მოსამსახურეები საწარმოში მუშაობის შემდეგ ყოველდღე გადიან სამშენებლო მოედანზე და გამოცდილი მშენებლების მეთვალყურეობით მუშაობენ საცხოვრებელი სახლის აგებაზე. სწორედ აქ მოუტანია მათ ამბავი ბინათმშენებლობის განვითარებაზე პარტიისა და მთავრობის ამ დადგენილების შესახებ აგიტატორად გამოყოფილმა მშენებელმა მუშამ რ. ლეჟავამ.

— ეს დადგენილება ერთხელ კიდევ ცხადყოფს,—თქვა ზეინკალმა ო. ბარდაძემ,—რომ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობისათვის არ არსებობს უფრო დიდი, უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიღწევა. ამ ზრუნვის პასუხად ჩვენ კიდევ უფრო ენერგიულად ვიმუშავებთ, მოწინავენი ვიქნებით საწარმოში და არავის ჩამოვრჩებით საბინაო მშენებლობაში.

ბინათმშენებლობის საქმის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებები ერთსულოვნად მოიწონეს მეელექტრომავლეებმა.

მაღალ ყველა მუშას შენგაკეთებული ბინა!

მალე, სულ ორი-სამი წლის განმავლობაში თბილისის საორთქლმავლო დეპოს ყველა მუშას უნდა ექნეს კარგი ბინა! ასე გადაწყვიტა დეპოს მთელმა კოლექტივმა, და აქეთკენ არის ახლა გამიზნული დეპოს სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ყურადღება.

წელს ჩვენ შევძელით თბილისის საქალაქო საბჭოსაგან მიგვეღო მიწის ნაკვეთები 16 ინდივიდუალური ბინათმშენებლისათვის. ეს 16 კაცი ჩვენი კოლექტივის ის წევრები იყვნენ, რომლებსაც ყველაზე მეტად უჭირდათ ბინები. მივეცით მათ ნაკვეთები, თან დავეხმარეთ მშენებლობის წარმოებაში, და საქმე სწრაფად წავიდა წინ. მალე ამ 16 ინდივიდუალური საცხოვრებლის აგება დამთავრდება და მუშები შესახლდებიან საკუთარ სახლებში.

ახლახან დამატებით მივიღეთ მიწის ნაკვეთები 44 საცხოვრებელი სახლის ასაგებად.

სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთან არ იყო ფართოდ გაშლილი კოლექტიური ბინათმშენებლობა. ამჟამად მხოლოდ ერთ სამსართულიან სახლს ვაშენებთ კოლექტიურად. გაეცნენ რა პარტიისა და მთავრობის დადგენილებას საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ, მუშა-მშენებლებმა გადაწყვიტეს სახლის აგება 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ და შესახლდნენ საკუთარ ახალ ბინებში.

კარგი შედეგი მოგვცა საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებთან ხელშეკრულებების დადების პრაქტიკამ. მაგალითად, ჩვენ დავდეთ ხელშეკრულება მეტეხის აგურის ქარხანასთან იმის შესახებ, რომ გარკვეული ვადებისათვის მათ აგური შეუფერხებლად გამოეგზავნათ ჩვენი მუშა-მშენებლებისათვის. მართლაც, აგურით მომარაგების მხრივ საქმე ცუდად არ იყო და ამან განაპირობა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წარმატება.

კვლავაც გვყვანან საწარმოში მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები, რომლებსაც ბინები თუმცა აქვთ, მაგრამ არა ისეთი, როგორიც უნდა ჰქონდეთ. სულ მოკლე დროში ჩვენ ვფიქრობთ ისინიც ჩავაბათ კოლექტიურ ბინათმშენებლობაში და მოვაწყოთ საქმე ისე, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში დეპოში მომუშავე ყველა მუშას, ინჟინერ-ტექნიკოსს, მოსამსახურეს ექნეს კარგი ბინა.

ს. ოდილავაძე,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს უფროსი.

ბინათმშენებლობის გაძლიერებისათვის

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები, მშენებლები, ინტელიგენცია ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ბინათმშენებლობის განვითარების შესახებ.

მარგანეცის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს კალატოზთა მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელმა ვ. ალავიძემ დადგენილების შინაარსთან გაცნობისას განაცხადა, რომ ჭიათურელ ბინათმშენებლებს დღემდე არ ჰქონდათ მაღალნაყოფიერად მუშაობის პირობები, ამის გამო ვერ აბერხებდნენ გამოყოფილი თანხების ათვისებას, და ბინების ნაკლებობაც ჭიათურაში მკაფიოდ იგრძნობოდა. ვფიქრობ, რომ ამიერიდან ჭიათურაშიც გაძლიერდება ბინათმშენებლობა.

დიმიტროვის სახელობის მაღაროს ნოვატორმა მბურღავმა კ. ნადირაძემ თქვა:

— მშენებლები უსათუოდ ვალში არიან მაღაროელების წინაშე. ჩვენთან ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბინათმშენებლობას, თუმცა გვაქვს ყველა შესაძლებლობა ვაშენოთ კარგი, კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები.

ახალი დადგენილების პასუხად ჭიათურელმა ბინათმშენებლებმა გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

თელავის რაიონმა კურის დამზადების გეგმა შეასრულა

თელავის რაიონმა 31 ივლისისათვის 105 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში. (საქდესი).

კასპის რაიონმა პურის დამზადების გეგმა შეასრულა

კასპის რაიონმა 31 ივლისისათვის 103,5 პროცენტით შეასრულა პურის დამზადების გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში. (საქდესი).

გორის რაიონმა პურის დამზადების გეგმა შეასრულა

გორის რაიონმა 1 აგვისტოსათვის შეასრულა პურის დამზადების გეგმა სიმინდის ჩაუთვლელად.

გრძელდება სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება მტს-ის მიერ შესრულებულ სამუშაოთა ნატურანაზღაურების ანგარიშში. (საქდესი).

მოწინავე გამოცდილება—მასებს!

ჰექტარზე 120 ცენტნერი სიმინდისათვის

1955 წელს დავამთავრე ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგის საშუალო სკოლა. მას შემდეგ ვმუშაობ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მაშინ სამეურნეო წლის ნახევარი გასული იყო და ნაკვეთის ინდივიდუალურად მიმაგრება აღარ შეიძლებოდა. მიუხედავად ამისა, ძალღონის დაუზოგავად ვმუშაობდი, კოლმეურნეებს ვეხმარებოდი სიმინდის ყანების გათოხნაში, პირუტყვისათვის საკვების დამზადებასა და მოსავლის აღებაში.

შარშან გაზაფხულზე ერთი ჰექტარი სასიმინდე ფართობი მომიჩინეს. შევუდექი მის დამუშავებას. საამისო გამოცდილება მოწაფეობისას შევიძინე. მაშინ მეცადინეობიდან თავისუფალ დროს ვეხმარებოდი კოლმეურნეებს, ვსწავლობდი მათგან. და სწორედ მათს მაგალითზე შევუდექი ჩემთვის მოჩენილი ნაკვეთის დამუშავებას. წინასწარ გავასუფთავე ნიადაგი ჩალისა და სხვა ნარჩენებისაგან. ტრაქტორით 18-20 სანტიმეტრ სიღრმეზე მოხვნისა და დაფარცხვის შემდეგ დავთესე მწკრივად აბაშის ყვითელი ჯიშის სიმინდი. პირველი გათოხნა-გამოხშირვა ჩავატარე 2-3 ფოთლის გამოჩენისთანავე, მეორე — პირველი გათოხნიდან 15 დღის შემდეგ. მეორე თოხნის წინ მწკრივებში შევიტანე 250 კილოგრამი ამონიუმი. სიმინდის დამუხლების ფაზაში ყანა უკვე მესამედ გავთოხნე და გამოვხშირე. მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, ნაკვეთზე 60 ცენტნერი სუფთა მარცვალი მივიღე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 21 ცენტნერისა.

გულახდილად მინდა ვთქვა, რომ არ მასვენებდა ერთი ფიქრი —

ე. ცხომარია.

• • •

მსურდა უმაღლესი განათლების მიღება წარმოებისაგან მოუწყვეტლად. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩავაბარე მისაღები გამოცდები. ახლა დაუსწრებელი განყოფილების აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

წელს ვთესე 1 ჰექტარ მიწის ნაკვეთს. იანვარში მოვხანი იგი და მოხვნასთან ერთად შევიტანე 500 კილოგრამი ფოსფორი. ნაკვეთი თესვის წინ ხელმეორედ მოვხანი და დავფარცხე ხობის მტს-ის ტრაქტორისტების დახმარებით. ნიადაგი აგროწესების დაცვით მოვამზადე დასათესად. წელს ხანგრძლივი გვალვის გამო მომიხდა ნაკვეთის ხელოვნური მორწყვა. ნაკვეთი დავთესე კვადრატულ-ბუდობრივად. სიმინდი კარგად აღმოცენდა. პირველი გათოხნის წინ სიმინდი ხელით გამოვხშირე. ბუდნაში სამ-სამი ძირი მცენარე დავტოვე, ნაკვეთზე შევინარჩუნე 23 ათასი ბუდნა და 66 ათასი ძირი სიმინდი. ვცდილობ მივიღო სულ მცირე 120 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად შარშან მიღებული 60 ცენტნერისა.

პირველი თოხნა დროულად ჩავატარე. პირველი გათოხნის მეორე დღესვე შევიტანე 500 კილოგრამი აზოტოვანი სასუქი. მეორე გათოხნა-გამოხშირვის დროს ცალკეულ ბუდნებში ჩავყარე ხობისწყლის შლამი. ამჟამად სიმინდი მესამედ გათოხნილი მაქვს. ყვავილობის ფაზაში ვახორციელებ ხელოვნურ დამტვერვას ორჯერ. ამ და სხვა აგროღონისძიებათა განხორციელებით ჩემ მიერ ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად გავანაღდებ, ჰექტარზე მოვიყვან 120 ცენტნერ სიმინდს.

ელენე ცხომარია,
ხობის რაიონის სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.

ᲨᲔᲣᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲡ

ონის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში მეცხოველეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია, ხოლო მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებულ ფულად შემოსავალს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისათვის. მაგალითად, სოფელ ცხმორის კოლმეურნეობაში მეცხოველეობის პროდუქტების რეალიზაციით მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა 1956 წელს მთელი ფულადი შემოსავლის 67 პროცენტი შეადგინა, სოფელ შქმერის კოლმეურნეობაში — 59,3, მთისკალთის კოლმეურნეობაში — 44,6, ხოლო მთლიანად რაიონში — 43,1 პროცენტი.

რამდენიმე წლის წინათ რაიონში საზოგადოებრივი მეცხოველეობა თავმინებებულ მდგომარეობაში იყო, ჩამორჩენილ დარგს წარმოადგენდა. 1953 წელს რაიონში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულ იქნა 594 კილოგრამი რძე. რაიონის 36 კოლმეურნეობიდან 21 კოლმეურნეობაში ძროხის საშუალო წლიური წველადობა 300-350 კილოგრამს ძლივს აღწევდა. მეტ წილ კოლმეურნეობებში უვარგისი იყო პირუტყვის სადგომი ბინები, არ ზრუნავდნენ კადრების შერჩევაზე, ყურადღება არ ექცეოდა პირუტყვის მოვლა-პატრონობას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. იყო სიკვდილიანობა და დედა-პირუტყვის ბერწიანობა.

უკანასკნელ წლებში რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი საზოგადოებრივი მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პირუტყვის სადგომების მშენებლობისა და საკვები ბაზის განმტკიცების საქმეს. მარტო უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში რაიონის კოლმეურნეობებში აშენდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომი 2.149 სულისათვის, საბბორე — 430 სულისათვის, საღორე — 730 სულისა და ფარეხი —1.350 სულისათვის, ხოლო სასილოსე ნაგებობანი 4.580 ტონის საერთო ტევადობისა.

მეცხოველეობის ბევრ ფერმაში შეიქმნა პარტიული ჯგუფები, მოეწყო წითელი კუთხეები.

გაწეული მუშაობის შედეგად ჯერ კიდევ 1955 წელს მიღწეულ იქნა პირველი წარმატებანი. რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა წველადობის გეგმა. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნა 812 კილოგრამი რძე, ანუ 1953 წელთან შედარებით თვითეული საფურაქე ძროხის წველადობა გაიზარდა 218 კილოგრამით. ამავე წელს 1953 წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარდა 212 პროცენტით მეტი ხორცი, და 200 პროცენტით მეტი რძე. შესრულებულ იქნა როგორც მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების, ისე მეცხოველეობის სულადობის დავალებანი.

რაიონის მშრომელები, მეცხოველეობის დარგის მუშაკები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი კმაყოფილებით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ ჩვენი პარტიის მიერ დასახულ ამოცანას — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება.

სოფელ მთისკალთის კოლმეურნეობამ მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ერთ საფურაქე ძროხაზე წველადობა გაადიდა 239 კილოგრამით, სოფელ გადამშის კოლმეურნეობამ — 211, საკაოს კოლმეურნეობამ — 209 კილოგრამით.

მიმდინარე წლის 19 ივლისს პარტიის რაიონული კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების 1957 წლის გეგმის შესრულებისა და ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ. რაიონის კოლმეურნეობებს აღებული აქვთ ვალდებულება უკვე 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე აწარმოონ 30 ცენტნერი ხორცი და 100 ცენტნერი რძე, გაასუქონ და სახელმწიფოს ჩააბარონ 600 სული ღორი, თვითეული 90-100 კილოგრამი (საშუალო ცოცხალი წონა). ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო გადიდებული ვალდებულებები აიღეს. სოფელ ფარახეთის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე წელს მიიღოს 36 ცენტნერი ხორცი (აქედან ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე 18 ცენტნერი ღორის ხორცი) და 140 ცენტნერი რძე, სოფელ მთისკალთის კოლმეურნეობამ — 32 ცენტნერი ხორცი (მათ შორის 20 ცენტნერი ღორის ხორცი) და 130 ცენტნერი რძე, ხოლო სოფელ შქმერის კოლმეურნეობამ — 38 ცენტნერი ხორცი და 150 ცენტნერი რძე.

ფაქტები მოწმობენ, რომ იმ კოლმეურნეობებში, სადაც პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა გამგეობები საქმის ცოდნით ხელმძღვანელობენ მეცხოველეობის აღმავლობას, დავალებანი წარმატებით სრულდება. მაგალითად, სოფელ ღარის კოლმეურნეობამ 1956 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მიიღო 39 ცენტნერი ხორცი, აქედან 11 ცენტნერი ღორის ხორცი, და 87 ცენტნერი რძე, სოფელ კვაჟაგომის კოლმეურნეობამ — 40 ცენტნერი ხორცი და 102 ცენტნერი რძე, სოფელ ფარახეთის კოლმეურნეობამ — 37,5 ცენტნერი ხორცი, აქედან 15 ცენტნერი ღორის ხორცი, და 102 ცენტნერი რძე.

რაიონის კომკავშირულმა ორგანიზაციამ იკისრა შეფობა გაუწიოს მეღორეობის განვითარებას და ვალდებულება აიღო ათეულობით ტონა რკო და ხილი დაამზადოს ღორების საკვებად.

მაგრამ ჩვენს მუშაობაში არის ნაკლიც. ონის რაიონი მაღალმთიან რაიონთა ჯგუფს განეკუთვნება. ბევრი ჩვენი კოლმეურნეობა ზღვის დონიდან 1.600-1.700 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს, ხოლო საზაფხულო საძოვრები განლაგებულია თვით კავკასიონის ქედის ფერდობებზე — 1.800-2.000 მეტრ სიმაღლეზე. გასაგებია, რომ ამ ზონის შესაფერისი პირუტყვის შერჩევას და მის გავრცელებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებით უკვე წარმოებს გარკვეული მუშაობა. 1951 წელს საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა დაიწყო მუშაობა ჩვენი რაიონის მთის ზონის სოფლების ღების და გლოლის კოლმეურნეობებში პირუტყვის სათანადო ჯიშების გამოყვანისათვის. 1956 წლისათვის ამ კოლმეურნეობებში უკვე შეიქმნა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გარკვეული ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვნად სჯარბობს ადგილობრივი ჯიშის პირუტყვს, რადგან მისი წველადობა 24-39 პროცენტით მეტია, ხოლო ცოცხალი წონა 37 პროცენტით მეტი, ამასთან ნახირის სისტემატური გადარჩევისა და შერჩევის შედეგად შენარჩუნებულია რძეში ცხიმის მაღალი პროცენტი. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ საჯიშე მეურნეობებს საკმაო ყურადღებით არ ეკიდებიან ღებისა და გლოლის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები. პარტიის რაიონული კომიტეტი ამ გარემოებას დღემდე ჯეროვან შეფასებას როდი აძლევდა. ამის გამო რაიონის ბევრ კოლმეურნეობაში (ქორთა, ნიგაზეები, სორი, სამთისი, ქვემო ბარი, ხირხონისი და სხვ.) ძროხის ისეთი ჯიშებია, რომლებიც კარგი კვების პირობებშიც კი 700-800 კილოგრამზე მეტ რძეს არ იძლევიან.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო რაიონს ვერ ამარაგებს წყლის გასაყვანი მილებით, რელსებით, თივის საწნეხი და სხვა მანქანებით და მოწყობილობით, რაც აძნელებს ფერმების მექანიზაციას, ფერმებში წყლის შეყვანას და ავტოსარწყულებლების მოწყობას.

ჯერ კიდევ ვერ აღმოვფხვერით შეცდომები მეცხოველეობის განვითარების დაგეგმვაში. რაიონის მთიანი ზონის ისეთი სოფლების კოლმეურნეობებს, როგორიც არიან ღები, ჭიორა, გლოლა, შქმერი და მთისკალთა, ხორცისა და რძის წარმოების გადიდების დიდი შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ ყოველთვის როდი ვითვალისწინებთ დაგეგმვის დროს ამ შესაძლებლობას.

ამ ნაკლოვანებების გამოსასწორებლად აუცილებელია გადაჭრით გავაუმჯობესოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მუშაობა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების მთელი საქმიანობა, მოწოდების სიმაღლეზე დავაყენოთ პოლიტიკურ-მასობრივი და კულტურული მუშაობა მეცხოველეთა შორის, ფერმებში, საზაფხულო საძოვრებზე, მწყემსებთან, მწველავებთან, ფერმის ყველა მუშაკთან.

ონის რაიონის პარტიული ორგანიზაცია ყოველი ღონისძიებით მიაღწევს იმას, რომ დარაზმოს რაიონის მშრომელები მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულებისათვის, წარმატებით შეასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს, სამშობლოს მივცემთ მეტ ხორცს, რძეს და მეცხოველეობის სხვა პროდუქტებს.

ს. ᲠᲝᲬᲜᲐᲫᲔ,
საქართველოს კპ ონის რაიკომის მდივანი.

ერთი წლის წინათ მოვიდა თბილისის მეორე ბამბის ძაფსართავ ფაბრიკაში ლ. პატარაია. ერთ წელიწადში იგი საუკეთესოდ დაეუფლა მრთველის პროფესიას და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. ახლა იგი უკვე თვითონ ასწავლის მრთველის ამ სპეციალობას ახალმოსულ მუშებს. **ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ:** ლ. პატარაია (მარჯვნივ) თავის გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მუშას ეუფუნა ბედოშვილს, რომელიც საშუალო სკოლიდან მოვიდა ფაბრიკაში.

ფოტო შ. გოქაძისა.

ᲚᲐᲯᲐᲜᲣᲠᲙᲔᲡᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲯᲔᲑᲔᲑᲘ

ᲪᲐᲑᲔᲠᲘ. (საკ. კორ.). ლაჯანურკესის მშენებლებმა ბოლო ხანებში შესამჩნევად გააძლიერეს მუშაობის ტემპი. განსაკუთრებით კარგი მიღწევები აქვთ დიდი გვირაბის მშენებლებს, რომლებსაც კიდევ დარჩათ გასათხრელი 700 გრძივ მეტრზე ნაკლები მანძილი. როდესაც ამ მანძილსაც გაივლიან, ალარაფერი დააბრკოლებს ცხენისწყლის ნაწილის გადაშვებას მდინარე ლაჯანურის კალაპოტში და იქიდან რიონის ხეობაში. რიონის ხეობაში ცხენისწყლის გადაშვებას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება რიონის კასკადის ჰიდროელექტროსადგურებზე ელექტროენერგიის გამომუშავების გადიდებისათვის ზამთრის თვეებში.

გვირაბმშენებლებმა, რომელთაგან მაღალნაყოფიერი შრომით გამოირჩევიან გ. კუკუხიძის, ო. ბლიაძის, ს. ნიშუტასა და ა. ოლეინიკოვის ბრიგადები, გადაწყვიტეს გვირაბის გაყვანა 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ.

ᲧᲣᲠᲫᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲓᲐ

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის ვენახებში ათასამდე სხვადასხვა ჯიშის ვაზია. აქ მეცნიერი მუშაკები საყურადღებო ცდებს აწარმოებენ.

საცდელი სადგურის ვენახებში უკვე დამწიფდა სუფრის ყურძნის ჯიშები: ყარაჯიგიგი, ხალილი და ქართული საადრეო. ეს უკანასკნელი გამოყვანილია ადგილზე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ამხ. დ. ტაბიძის მიერ. ყურძნის მოსავალი შარშანდელთან შედარებით უკეთესია.

ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲕᲧᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲔᲑᲘ ᲮᲘᲚ-ᲑᲝᲡᲢᲜᲔᲣᲚᲘᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲔᲡᲘᲐᲖᲔ

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეოთხე სესიამ, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა საკითხი თბილისში ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობისა და ზამთრისათვის ამ პროდუქტების შემოზიდვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. მოხსენება გააკეთა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ და ვაჭრობის სამმართველოს უფროსმა ი. გეტაშვილმა, თანამოხსენებით გამოვიდა ვაჭრობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ე. თავაძე.

სესიაზე აღნიშნულ იქნა, რომ სისტემატურად უმჯობესდება თბილისის მშრომელთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. ეს შედეგია იმ დიდი ზრუნვისა, რომელსაც მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენენ საბჭოთა ადამიანებისადმი. სესიის მონაწილეებმა რწმენა გამოთქვეს, რომ მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფის განადგურება ხელს შეუწყობს სკკპ XX ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა პირნათლად განხორციელებას, კიდევ უფრო ბედნიერსა და საამურს გახდის კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებას.

უკანასკნელ პერიოდში თბილისში წარსულ წლებთან შედარებით გაუმჯობესდა ხილ-ბოსტნეულითა და კარტოფილით ვაჭრობა. გეგმით გათვალისწინებული იყო მიმდინარე წლის 16 ივლისამდე თბილისში შემოზიდათ 880 ტონა ბოსტნეული, ფაქტიურად შემოზიდული და გაყიდულია 1.431 ტონა, ე. ი. გეგმა შესრულებულია 162,6 პროცენტით. გაიზარდა „თბილხლბოსტანვაჭრობის“ ქსელი. თუ 1955 წელს თბილისში იყო „თბილხლბოსტანვაჭრობის“ 27 მაღაზია და 7 ფარდული, ახლა 35 მაღაზია და 39 ფარდულია.

ამასთან ერთად სესიაზე აღინიშნა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებსაც ადგილი აქვს ქალაქის ხილ-ბოსტნეულით მოვაჭრეობაში. ეს ეხება ბაზრებსა და ფავილიონებში ასორტიმენტის ცუდ შეფასებას, ფასების ფეხმოკიდებულ ზრდას, ფასებზე ანგარიშგაუწევლობას, ფასების ეტიკეტებით აღჭურვის ცუდ ორგანიზაციას, ფასების ეტიკეტებზე ფასის ბოლოს ნულის ჩაუწერლობ

საგზაო მუშაკების პასუხსაგები ამოცანები

ვენი დიადი სოციალისტური სამ-ლო სულ უფრო დიდ წარმატე-ს აღწევს მრეწველობის, სოფლის რნეობის, კულტურის განვითარე-საქმეში. მრეწველობისა და მშე-ლობის მართვის ფორმების გარდა-, რაც სკკპ ცენტრალური კომი-ის თებერვლის პლენუმისა და კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა შესაბა-ად განხორციელდა, ხელს შეუწყობს ჭოთა ეკონომიკის ახალ აყვავებას. ამეურნეო გეგმების წარმატებით რულების, მშრომელთა მატერია-ურ-კულტურული კეთილდღეობის ლების ინტერესები მოითხოვენ ტკეცილების კეთილმოწყობისადმი ნელებელ ყურადღებას.

ვრობრუნვა და ავტოტრანსპორ-, რაოდენობა დიდად გაიზარდა ნს რესპუბლიკაში. ამის შესაბამი-გაძლიერდა პარტიული და საბჭო-ორგანოების, მშრომელი მასების ნვა გზების კეთილმოწყობისათვის. ხედავად ამისა, არსებული გზების ნიკური ნორმატივები და მათი ხა-ი ნაწილის მდგომარეობა ჯერ კი-ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მო-ვნილებას.

ნდა ითქვას, რომ სიგრძის მხრივ ნი რესპუბლიკა თითქმის უზრუნ-ყოფილია გზებით, მაგრამ კეთილ-ყობის მხრივ მაინცდამაინც კარგი რათი არა გვაქვს. აქვე საჭიროა აღი-ნოს, რომ ომისშემდგომ პერიოდში რთო-სახელმწიფოებრივი და რეს-ბლიკური მნიშვნელობის გზები გა-ეკობესდა. შედარებით ცუდი მდგო-ეობაა ადგილობრივი მნიშვნელო-ს გზებზე.

ზების კარგი მდგომარეობისათვის დი მნიშვნელობა აქვს ხიდებს და ულგამტარ მილებს. სახელმწიფოებ-ი მნიშვნელობის გზებზე ხიდები მილები აკმაყოფილებენ მოთხოვ-ლებას, მაგრამ ასე როდია რესპუბ-კური მნიშვნელობის გზებზე.

სახელმწიფოებრივი და რესპუბლი-რი მნიშვნელობის გზებზე საჭიროა ოს დაახლოებით 92 ახალი რკინა-ტონის ხიდი 5.160 მეტრი საერთო რძისა, მათ შორის 36 ხიდი მარტო ეთის რაიონებში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადგი-ბრივი მნიშვნელობის გზებზე გაცი-ებით უარესი მდგომარეობა გვაქვს. ნ დღემდე აღრიცხულიც არა ქვს, თუ დამატებით რამდენი ხიდი წყალგამტარი მილია საჭირო ამ ებზე.

მეამად ჩვენს გადაუდებელ ამო-ანას წარმოადგენს შემდეგი: 1957-1958 წლებში დამთავრდეს დასავლეთ ართველოს ზოგიერთი გზის კაპი-ური შეკეთება და ამ გზაზე მო-ეშავე ხიდების მშენებლები გადაყვა-ნილ იქნან კახეთის რაიონებში ხიდე-ბის ასაგებად.

მეექვსე ხუთწლედში რესპუბლიკაში რეკონსტრუირებულ და კაპიტალურად შეკეთებულ იქნება 1.663 კილომეტრი გზა, აქედან 1.000-მდე კილომეტრზე მოეწყობა შავი საბურავი, რის შედეგადაც შავქერქიანი გზის ქსელი რეს-პუბლიკაში მნიშვნელოვნად გადიდდე-ბა. უახლოეს წლებში კაპიტალურად შეკეთდება მთელი რიგი საერთო სა-ხელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის შავქერქიანი გზები. მიმდინარე წელს უნდა მოეწყოს ახალი შავქერქიანი საავალი ნაწილი 168 კილო-მეტრზე. გარდა ამისა, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე გაკეთდება ახალი შავქერქიანი საავალი ნაწილი 27 კი-ლომეტრზე.

ამ სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით განზრახულია შავი საბურავის მოწყობა დამთავრდეს არაუგვიანეს 15 ოქტომბრისა. არსე-ბული შავი გზების უკეთ შენახვის მიზნით გათვალისწინებულია მოვახ-დინოთ განმეორებითი ზედაპირული დამუშავება 400 კილომეტრზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტოტრანსპორტის და საგზაო მექანიზმების რაციონალურად გამოყე-ნებას, საგზაო სამუშაოთა კომპლექ-სურ მექანიზაციას, ახალი ტექნიკისა და პროგრესული მეთოდების წარმოე-ბაში დანერგვას. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გზების მოვლა-პატრო-ნობას, საგზაო ნიშნებს, გამწვანებას. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გზების სა-ვალ ნაწილზე არ იქნეს ორმოები.

დიდი მუშაობა მიმდინარეობს ადგი-ლობრივი მნიშვნელობის გზების კეთილმოწყობისათვის. აღნიშნული ქსე-ლისათვის წელს 762 ათასი კუბმეტრი ქვამასალა იქნება გამოზიდული მოსახ-ლეობის შრომითი მონაწილეობით. საგზაო დარგის მუშაკებმა დროულად და ხარისხიანად უნდა გამოიყენონ ქვამა-სალა გზების შესაკეთებლად.

ამას წინათ გაიმართა საგზაო მშენებ-ლობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტი-ვის კრება, რომელმაც დასახა კონკრე-ტული ღონისძიება გზების კეთილმო-წყობისათვის და მიიღო მიმართვა რეს-პუბლიკის ყველა საგზაო მუშაკისადმი, ამასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია მოძმე სომხეთისა და აზერ-ბაიჯანის რესპუბლიკების მთავარი საგზაო სამმართველოების სისტემის მუშაკები.

რესპუბლიკაში გზების მოწყობის დარგში დიდი ამოცანებია დასახული. საგზაო მუშაკები ძალას არ დაზოგავენ, რათა დიდი ოქტომბრის მე-40 წლისთავს ახალი მიღწევებით შეხვდნენ.

შ. ლებანიძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გზატაკეცილების მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

მეორკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის 2 ავტობაზაში მანქანების არასწორი ექ-ლოატაციის შესახებ სწერდა რედაქციას მუშ-ერი ნ. მაჭარაშვილი ჭიათურის რაიონიდან. ერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ჭიათურის მშრომელთა დეპუტატების საქალა-ო საბჭოს აღმასკომს, რომელმაც შეამოწმა ერილში მოყვანილი ფაქტები და დასაჯა 2 ავტობაზაში მანქანების არასწორ ექ-სპლოატაციაში დამნაშავენი. ავტობაზის უფ-როსს ს. სარქისოვს, მის მოადგილეს ტექნი-კურ დარგში ვ. ნასარიძეს გამოეცხადათ საყ-ვედური, ხოლო საექსპლოატაციო განყოფი-ლების უფროსს ნ. ფიჩხაძეს მეთითა. ავტო-ბაზაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვ-რელად აღმასკომმა მიიღო სათანადო გადა-წყვეტილება.

წერილები რედაქციას

მეჯვი ყურადღება ვარძიის კეთილმოწყობას

მე-12 საუკუნის შესანიშნავი ძეგლის — ვარძიის მონასტერ-გამოქვაბულთა ნახვა უდიდეს ინტერესს იწვევს. შთა-ბეჭდილების წიგნი სავსეა მოსკოვი-დან, ლენინგრადიდან, კიევიდან და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებიდან და კუთხეებიდან ჩამოსული ტურის-ტების ჩანაწერებით.

მაგრამ ამ ღირსშესანიშნავი ძეგლის უყურადღებოდ მიტოვება მნახველთა გულისტკივილს იწვევს. ციხე-სიმაგრე ვარძიის დათვალიერება შეუძლებელი ხდება, ვინაიდან გამოქვაბულში მოწ-ყობილი არ არის ელექტროგაყვანი-ლობა. ამის მოგვარება კი არც ისე ძნელია, ახლომდებარე სოფელ თმო-გვიდან შეიძლება ელექტრობის გაყ-ვანა.

გარდა ამისა, ვარძიაში არ არის სა-საუზმე, სასურსათო მაღაზია, არა ჰყავთ კვალიფიციური კონსულტან-ტები.

ვარძიის კეთილმოწყობით უნდა და-ინტერესდნენ როგორც ასპინძის რაი-ონის ხელმძღვანელები, ისე საქართვე-ლოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

ჯ. თოდრდია,
მასწავლებელი.

მზარეულების მომზადება მეორეხარისხოვანი საქმე როდია

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს თბილისში გახსნილი აქვს სავაჭრო-კულინარიული სკოლა, სადაც ამზადებენ დახლის მუშაკებს და მზარეულებს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, კერძოდ, მზარეულების მომზადების საქმე ისე არ არის დაყენებული, როგორც უნდა იყოს.

ჯერ-ერთი, მსმენელ-მოსწავლეთა დაკომპლექ-ტება ხდება შემთხვევითი ადამიანებით და ორა ისეთი ახალგაზრდებით, რომელთაც ეს საქმე სამდვილად აინტერესებთ და რომლებიც სწავ-ლის დამთავრების შემდეგ საზოგადოებრივი კვების ქსელში კულინარებად (მზარეულებად) იმუშაებენ. მეორეც, მოსწავლეთა პრაქტიკა არ არის მოწყობილი მოფიქრებულად. სკოლაში აქვთ გარკვეული პროგრამა, მოსწავლეები სწავ-ლობენ გარკვეული მენიუს მიხედვით კერძების დამზადების თეორიას, ხოლო პრაქტიკისათვის ამ ახალგაზრდებს ისეთ რესტორანებში და სასადი-ლოებში გზავნიან, სადაც სკოლაში განვლილი მენიუს მიხედვით არ მზადდება კერძები, მა-შასადამე, მოსწავლეები სათანადო შრომითს ჩვევებს ვერ იძენენ.

არის ავრეთვე მოსწავლეებისადმი შეფ-მზა-რეულების მხრივ გულგრილი დამოკიდებულე-ბის ფაქტები. მაგალითად, სასადილოების პირ-ველი ტრესტის მესამე სასადილოს უფროსი მზარეული გ. მაისურაძე, რესტორან „დარია-ლის“ უფროსი მზარეული კ. გაგნიძე, სასა-დილოების მეორე ტრესტის № 90 სასადილოს უფროსი მზარეული ს. თავაძე და ბევრი სხვა მზარეული როდი ცდილობენ ასწავლონ ახალ-გაზრდებს, არჩეული პროფესიის სიყვარული შთაუნერგონ, ოსტატობის დაუფლებაში მოეხმა-რონ.

მზარეულების მომზადების საქმის გასუმჯო-ბესებლად საჭიროა თბილისში გაიხსნას სპე-ციალური სასადილო, სადაც სისტემატურად დამზადდება სასწავლო პროგრამით გათვალის-წინებული ყველა კერძი და ამ კერძებს პრაქტი-კანტი მოსწავლეები დაამზადებენ გამოცდილ მზარეულების მეთვალყურეობით.

ვ. გოგეჯიშვილი,
თბილისის სავაჭრო-კულინარიული სკო-ლის ინსტრუქტორი-მზარეული.

ამ დღეებში თბილისის ლენინის რაიონის ძველი ბოლშევიკების ჯგუფმა ინახულა რუსთავი. ძველი ბოლშევიკები გაეცნენ ქალაქის მშენებლობას, დაათვალიერეს კულტურის სასახლე, ინახულეს ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა. სურათზე: ძველი ბოლშევიკების ჯგუფი ფოლადსამსხმელო საამქროში. წარჩინებული მეფოლადე ა. ფანცულაია (მესამე მარჯვნიდან) ძველ ბოლშევიკებს უამბობს საამქროს მუშაობის შესახებ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

სამეცნიერო ექსპედიციები

თერთმეტი წელია, რაც საქართველოში დაარსდა კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი. წარსულ წლებში ინსტიტუტი სწავლობდა ჰიპერტონიული სნეულების გავრცელებას საქართველოს მოსახლეობაში, ამ დაავადების კლინიკურ თავისებურებებს, გამომწვევ მიზეზებსა და პათოგენეზს. ამ მიზნით ინსტიტუტმა ჩაატარა კვლევითი მუშაობა ექსპედიციების მეშვეობით საქართველოს თითქმის ყველა რაიონში. ამ ექსპედიციებმა ძვირფასი სამეცნიერო-კვლევითი მასალის შეგროვების გარდა დიდი პრაქტიკული დახმარება გაუწიეს საქართველოს მოსახლეობას დაავადების ადრეული გამოვლინების, პროფილაქტიკისა და მკურნალობის თვალსაზრისით.

წელს ინსტიტუტმა ექიმ მეცნიერ მუშაკთა 4 ბრიგადა გაგზავნა გორის, ხაშურის, დუშეთის, გურჯაანის, წოთელწყაროს, სიღნაღის, ჩოხატაურის, მახარაძის, ქობულეთის, გუდაუთის, ზუგდიდისა და ცხაკაიას რაიონებში.

ექსპედიციების მთავარი მიზანია შეისწავლონ საქართველოს მოსახლეობაში ათეროსკლეროზის (შასხვილ სისხლძარღვთა სკლეროზის) გავრცელება მისი ყველა კლინიკური გამოვლინებით, ჰიპერტონიული სნეულების დინამიკა, გულის რევმატული დაზიანებანი (მანკები, ენდოკარდიტები), თანდაყოლილი მანკები, გულის ფუნქციური ხასიათის დაავადებანი და სხვ.

ცნობილია, რომ გულსისხლძარღვთა დაავადებებზე სიკვდილიანობის ყველაზე დიდი პროცენტი მოდის, ხოლო ამ დაავადებათა შორის ათეროსკლეროზი და მისი სხვადასხვა კლინიკური ფორმა ყველაზე გავრცელებულია და სიკვდილიანობის მეტად დიდ პროცენტს იძლევა. ამიტომ დასახელებული ექსპედიციების მუშაობას მეტად დიდი მეცნიერული და განსაკუთრებით პრაქტიკული ღირებულება ენიჭება. შესწავლილი იქნება როგორც დაავადებათა ზოგადი მიზეზები, ისე აღგილობრივი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოს პირობებისათვის.

აღნიშნული მუშაობის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის ექსპედიციებში შექმნილია ყველა საჭირო პირობა. მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მეცნიერი მუშაკები. თვითეული ბრიგადა აღჭურვილია ბიოქიმიური ლაბორატორიით, ელექტროკარდიოგრაფით, რენტგენის მოწყობილობით და სხვა საჭირო აპარატურა-იარაღებით.

გამოვლინებული ავადმყოფები აყვანილ იქნებიან ინსტიტუტის სპეციალურ აღრიცხვაზე. მათ ადგილობრივ აღმოუჩენენ პროფილაქტიკური, სამკურნალო და კონსულტაციური ხასიათის კვალიფიციური საექიმო დახმარებას.

კვლევითი ექსპედიციების მოწყობა ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ რა დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენენ ჩვენი პარტია და მთავრობა მშრომელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ი. ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. წინამძღვრიშვილის სახელობის კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი.

მუშები უმაღლეს განათლებას იღებენ

ფოთი. (საკ. კორ.). საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექ-ნიკური ინსტიტუტის ფოთის დაუსწ-რებელ განყოფილებაში ფოთის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებენ უმაღლეს განათლებას. აქ სწავლობენ მიწისმწოვი მანქანების ქარხნის ზეინკალი ი. ჯაიანი, მებეტონე გ. ცეკვაშვილი, პ. სავენკოვი და სხვ.

ნავსადგურის უფროსი დისპეტჩერი მ. ნიკიტჩენკო სწავლობს ქ. ოდესის საზღვაო ინსტიტუტის IV კურსზე, ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ს. სანიკიძე — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის მესამე კურსზე და სხვ.

კოლხიდმშენის, წისქვილკომბინატის, ნავსადგურის, მიწისმწოვი მანქანების ქარხნის და ქალაქის სხვა საწარმოების ბევრმა ახალგაზრდა მუშამ წელს განცხადებები შეიტანეს სხვადასხვა ინსტიტუტებში დაუსწრებელ სწავლაში ჩასაბმელად.

მოკლე ცნობები ადგილებიდან

სოფლის კულტმაჯალითში

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ დიდ ჭყონის ცენტრში მოთავსებულია კულტმაჯალითი, სადაც მომხმარებელს ყოველთვის შეუძლია შეიძინოს რადიომიმღები, საკანცელარიო ნივთები, თვალსაჩინო ხელსაწყოები, საბჭოთა და უცხოეთის კლასიკოსებისა და ახალგაზრ. და მწერლების ნაწარმოებნი, პოლიტიკური და სამეურნეო ლიტერატურა. მომხმარებელს კარგ მომსახურებას უწევს წიგნით ვაჭრობის გამოცდილი მუშაკი ა. კორთხონჯია, რომელიც თითქმის 25 წელია მუშაობს ამ დარგში.

ბავშვები შავი ზღვის სანაპიროზე

მახარაძე. (საკ. კორ.). ურეკის ციტრუსოვანთა საბჭოთა მეურნეობის მახლობლად, შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე საზეიმო ვითარებაში გაიხსნა პიონერთა ბანაკი. აქ ისვენებენ რაიონის სკოლების მოსწავლეები. მათთვის შექმნილია სხვადასხვა წრეები და ხელოვნები, გამოდის ყოველკვირეული გაზეთი „ოკეანი“, ხშირად ეწყობა ექსკურსიები.

ზაფხული პიონერბანაკში

ხაშური. (საკ. კორ.). მხიარულად ატარებენ ზაფხულის მეცხუნვარე დღეებს საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ქვიშხეთის პიონერთა ბანაკის ნორჩი მოადგილეები. აქ მათთვის შექმნილია ყველა პირობა ნორმალური დასვენებისა და ორგანიზმის გაკაჟებისათვის.

რამდენიმე ხნის წინათ ამ ბანაკის პიონერებმა შეხვედრა მოიწყეს მწერალ ლეო ქიაჩელს. შეხვედრაზე იყვნენ მწერლები ა. გომიაშვილი, ა. თევზაძე, მ. ლებანიძე, გ. კაკაბაძე, თ. ჯანგულაშვილი, ა. სულაკაური, გ. გოგიჩაიშვილი და გ. მარგველაშვილი.

ლ. ქიაჩელის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს პედაგოგებმა ვ. გოგიჩაიშვილმა და პიონერხელმძღვანელმა ა. ახობაძემ. საკუთარი ლექსები წაიკითხეს პიონერებმა ი. გალუხტოვამ და ვ. ცერცვაძემ.

ლ. ქიაჩელი მიესალმა ბავშვებს და უსურვა მათ ჯანმრთელობა და წარმატება სწავლაში.

ახალმშენებლობანი გაგრაში

გაგრა. (საკ. კორ.). ამჟამად გაგრაში ზღვის პირას შენდება რაიონის კულტურის სახლის ახალი შენობა. მას ექნება მაყურებელთა დარბაზი, ფოიე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წრეების სამუშაო ოთახები და სხვ. ამ მშენებლობის ახლოს აღმართულია პიონერთა სახლი. აქვეა მუსიკალური სკოლა. ბიუვინთის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში აშენდა კლუბი, რომლის დარბაზი 300 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული. დასასრულს უახლოდება კლუბის მშენებლობა სოფელ განთიადის ულიანოვის სახელობის კოლმეურნეობაში. ამას წინათ სოფელ კოლხიდის ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა კულტურის ახალი სახლი, რომელიც კოლმეურნეობის სახსრებით აშენდა. კულტურის სახლს აქვს 400-ადგილიანი დარბაზი, კინოდანადგარი და სხვ.

ბჭოები, რომლებიც ასრულებენ შეზ-ულ ფუნქციებს, როგორიც არის ოფორგანიზაციების ერთობლივი მო-ედების კოორდინაცია. მრეწველობი-და მშენებლობის მართვის გარდაქმ-სთან დაკავშირებით გადაწყვეტილია ღლდეს პროფკავშირთა საბჭოები ოლი, გაფართოვდეს მათი მოვალეო-ა ფარგლები, მიენიჭოთ მათ აუცი-ბელი უფლებები. პროფკავშირთა ბჭოები უნდა გახდნენ უფლებამოსი-ი ხელმძღვანელი ორგანოები, რომ-ებსაც შეეძლებათ განახორციელონ ველდღიური ხელმძღვანელობა ად-ლობრივი და პირველადი ორგანიზა-ების მთელი საქმიანობისადმი.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეუწო-ი ხდება დარგობრივი პროფკავში-ების დიდი რაოდენობით დატოვება. ანშეწონილია ბევრი მათგანის გამს-ილება. ეს საშუალებას მოგვცემს ვამციროთ რაიონული, საოლქო, სამ-ეო და რესპუბლიკური კომიტეტე-ის რაოდენობა. მოხდება აგრეთვე ოფკავშირთა რესპუბლიკური, სამხა-ო და საოლქო კომიტეტების გამსხ-ელება.

ოპერატიული ხელმძღვანელობის სა-ბის ცენტრის ადგილებზე გადატა-თან დაკავშირებით გამსხვილებული ოფკავშირების ცენტრალური კომი-ტეტები მთავარ ყურადღებას მიაქცე-ენ საერთო-დარგობრივი საკითხების ამუშავებას — მონაწილეობას სათანადო ორგის განვითარების დაგეგმვაში, ალფასის სისტემების, ერთიანი სატა-ფო-საკვალიფიკაციო ცნობარების, ომის დაცვის ერთიანი ნორმების, ეტანსაცმლის შემუშავებაში და ა. შ.

ამჟამად, როდესაც შექმნილია სახა-ო მეურნეობის საბჭოები და საერ-ო ხელმძღვანელობის სამმაგის ენტრი გადატანილია რესპუბლიკებში, არეებსა და ოლქებში, საწარმოებთან ერო ახლოს, არის იმის შესაძლებ-ობა, რომ წინანდელთან შედარებით ციულებით უფრო ფართოდ ჩავაბათ ომელები წარმოების მართვაში. სა-ურნეო მშენებლობის საკითხების გა-ჭისას მასების საწარმოო გამოცდი-ების გათვალისწინება საშუალებას მგვცემს უფრო სრულად გამოვიყე-ნოთ წარმოების შინაგანი რეზერვები, გავაუმჯობესოთ სახელმწიფო მართვი-სა და დაგეგმვის საქმე.

1958 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შემუშავება ხდება უკვე ახლე-ბურად, დაწყებული საწარმოდან და მშენებლობიდან. პროფკავშირთა საფა-ბრიკო-საქარხნო და მშენებლობათა კო-მიტეტების ამოცანაა უზრუნველყონ მშრომელთა ფართო მონაწილეობა ამ სახელმწიფოებრივ საქმეში. სათანადო რგოლების მიხედვით დაგეგმვაში უნ-და მონაწილეობდნენ პროფკავშირთა საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური კომიტეტები, ხოლო საერთოდ სახალხო მეურნეობის საბჭოების ხაზით — პროფკავშირთა საბჭოები.

პროფკავშირებს წარმოების მართვა-ში მასების ჩაბმისათვის მუშაობის უდიდესი გამოცდილება და მშრომელ-თა შემოქმედებითი აქტივობის ორგა-ნიზაციის ნაკადი საშუალებები აქვთ. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სო-ციალისტური შეჯიბრება. ახლა მთა-ვარია მეურნეობის თვითეულ უბანზე პრაქტიკულად მოვაწყოთ სოციალის-ტური შეჯიბრება ოქტომბრის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად, ჩავაბათ მას-ში ყველა მუშა, სპეციალისტი და მო-სამსახურე. არ შეიძლება შევურიგდეთ იმას, რომ აქა-იქ შეწყვიტეს ინდივიდუ-ალური ვალდებულებების აღება, რის შედეგადაც მცირდება შეჯიბრების მო-ნაწილის პირადი მორალური პასუ-ხისმგებლობა. ყველგან, სადაც კი ეს შესაძლებელია წარმოების ხასიათის მიხედვით, მხარი უნდა დავუჭიროთ მუშაკებს, რომლებსაც სურთ აიღონ ინდივიდუალური ვალდებულება, და-ვეხმაროთ მათ თავიანთი საწარმოო რე-ზერვების გამოვლინებაში. პროფჯგუ-ფები, საამქროებისა და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები მოწოდებული არიან ყოველდღიურად ადევნონ თვალ-ყური კოლექტიურ და ინდივიდუალურ ვალდებულებათა შესრულებას, არა მარტო გამოავლინონ გამარჯვებულე-ბი, არამედ ყოველმხრივ დაეხმარონ ჩამორჩენილებს, დააწინაურონ ისინი მოწინავეთა დონემდე. ლენინური პრინ-ციპები—შრომის შედეგების საჯაროობა, შედარებითობა და მოწინავე გამოცდილების გავრცელება — შეჯიბრებისადმი ნამდვილი ხელმძღვანელობის საფუძველია.

წარმოების საკითხების გადასაჭრელად ჯერ კიდევ სუსტად არის გამოყენებული მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებები, საწარმოო თათბირები, ტექნიკური და ეკონომიური კონფერენციები, ნოვატორთა თათბირები. ხოლო ქვემოდან კრიტიკა, საზოგადოებრივი აზრი, რომელსაც ისინი ქმნიან და გამოხატავენ, უდიდეს ძალას წარმოადგენს.

მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებები, საწარმოო თათბირები, კონფერენციები და აქტივები, კოლექტივების ჩაბმა ისეთი საკითხების განხილვაში, როგორიც არის წარმოების გეგმების შემუშავება და შესრულება, შრომის ნორმირება და ორგანიზაცია, ხელფასი, შრომისა და ტექნიკის უსაფრთხოების დაცვა, რაციონალიზაცია და გამომგონებლობა, მშრომელთა სანა-ნაო-საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება — ყოველივე ეს ემსახურება კომუნისტურ მშენებლობაში მასების აქტივობის ამაღლების საქმეს. პროფკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელობის პირდაპირი მოვალეობაა სისტემატურად გამოვიდნენ კოლექტივების წინაშე ანგარიშებით საწარმოთა საწარმოო საქმიანობის შედეგების შესახებ, მუშებისა და მოსამსახურეებს შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობის შესახებ.

ყურადღება საბჭოთა ადამიანის მოთხოვნილებებს

საბჭოთა პროფკავშირების მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყონ მშრომელთა მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილება.

სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები ვალდებული არიან ხელფასის, გამომუშავების ნორმების შეცვლის, შრომის დაცვისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხები განიხილონ მხოლოდ პროფკავშირთა მონაწილეობით. პროფკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან კონტროლი გაუწიონ მუშათა შრომის ანაზღაურების მოქმედი სისტემების გამოყენების სისწორეს, შრომითი კანონმდებლობის დაცვას, კერძოდ, სამუშაო დროისა და დასვენების შესახებ, შეურიგებელი ბრძოლა აწარმოონ კანონების ყოველგვარი დარღვევის და მშრომელთა უფლებების შელახვის წინააღმდეგ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ ამ მხრივ ფართო შესაძლებლობებს უქმნის პროფკავშირულ ორგანიზაციებს. პროფკავშირთა საფაბრიკო-საქარხნო ან აღგილობრივი კომიტეტის გადაწყვეტილება შრომითი დავის შესახებ, თუ იგი კანონს არ ეწინააღმდეგება, საბოლოოა და ადმინისტრაცია ვალდებულია შეასრულოს იგი.

თითქმის მეოთხედი საუკუნეა პროფკავშირები განაგებენ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის საქმეს. ამ მიზნისათვის სახელმწიფოს ყოველწლიურად მზარდი მრავალმილიარდიანი ასიგნებანი ხმარდება. შრომის უნარის დროებით დაკარგვის გამო დახმარებისა და პენსიების გასტუმრებას. საკმაო წაწილი ხმარდება მშრომელებისა და მათი ბავშვების გაჯანსაღების ღონისძიებებს. მაგალითად, მუშებისა და მოსამსახურეების სანატორიულ-საკურორტო მომსახურებისა და დასვენების ორგანიზაციისათვის პროფკავშირებმა 1957 წელს სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის სახსრებიდან გამოჰყვეს დაახლოებით ორი მილიარდი მანეთი, თითქმის სამასი მილიონით მეტი, ვიდრე გასულ წელს. ამ სახსრებით ჯანმრთელობის კერებში დაისვენებს მილიონნ-ბით მუშა და მოსამსახურე. ასეულ ათასობით კაცი წელს ისარგებლებს დოტაციით დიეტურ სასადილოებში კვებისათვის. საზაფხულო არდადეგების განმავლობაში პროფკავშირები თითქმის სამ მილიონ მოსწავლეს გაგზავნიან პიონერთა ბანაკებში დასასვენებლად. 616 მსხვილ საწარმოში მუშაობს ღამის სანატორიუმები, რომლებსაც პროფკავშირები ინახავენ სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებით.

პროფკავშირების განკარგულებაშია 11 ათასზე მეტი კლუბი, კულტურის სახლი და სასახლე, 11 ათასი კინოდანადგარი, 115 ათასი წითელი კუთხე, 18 ათასი ბიბლიოთეკა. მათ აქვთ აგრეთვე 8 ათასი სტადიონი, სასპორტო მოედანი, ფიზკულტურის სახლი, აუზი, წყალსაჯომარდო, სანიჩბოსნო, საიალქნო და სათხილამურო სადგურები. პროფკავშირებმა შექმნეს ტურიზმის მატერიალური ბაზა, რომელსაც ძალიერებენ. მილიონნახევარზე მეტი მუშა და მოსამსახურე ყოველწლიურად პროფკავშირების ტურისტული საგზურებით მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში და გზადაგზა ისვენებს ტურისტულ და ალპინისტურ ბაზებში, სახლებში, თავშესაფრებში.

პარტია ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათ შორის პროფკავშირებს, ამოცანად უსახავს მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობა და მშრომელთა კულტურული მომსახურება. საჭიროა ის მატერიალური ბაზა, რომელიც პროფკავშირებს აქვთ, ყოველმხრივ განვავითაროთ და უნარიანად გამოვიყენოთ მასების კომუნისტური აღზრდის საქმისათვის.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ახალი წარმატებების საწინდარია

პროფკავშირები, რომლებმაც თავიანთი ნახევარსაუკუნოვანი გზა დაიწყეს რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში, საბჭოთა წყობილების პირობებში მშრომელთა ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია გახდნენ. 1957 წლის 1 იანვრის ცნობებით, ჩვენი ქვეყნის პროფესიული კავშირები აერთიანებენ 47.146.379 მუშას, მოსამსახურეს, მოსწავლეს. რიცხობრივად საბჭოთა პროფკავშირები ყველაზე მსხვილი პროფკავშირებია მსოფლიოში. ისინი პირველ ადგილზე დგანან მშრომელთა ორგანიზაციულად შეკავშირების მხრივაც. საბჭოთა პროფკავშირებში სრული ნებაყოფლობის საფუძველზე წევრად ითვლება ჩვენი ქვეყნის საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების მუშაკთა ცხრა მეათედზე მეტი.

ჩვენი ქვეყნის პროფკავშირული მოძრაობის ყველა წარმატება მიღწეულია იმის მეოხებით, რომ მისი იდეური ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი იყო და არის კომუნისტური პარტია. პროფკავშირებს პარტია დიდ ყურადღებას აქცევდა ვ. ი. ლენინის სიცოცხლეში, მრავალგზის და ყოველმხრივ განიხილავდა მათი საქმიანობის საკითხებს თავის ყრილობებზე. ამჟამადაც პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი პროფკავშირებს ყოველდღიურ დახმარებას უწევს მათი ამოცანების გადაჭრაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა აღადგინა პარტიაში პროფკავშირების მუშაობის საკითხების რეგულარულად განხილვის ლენინური პრაქტიკა. ამ საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო პარტიის XX ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებზე.

ჩაბმულნი დღიდან და სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პროფკავშირები ახორციელებდნენ და ახორციელებენ კომუნისტური პარტიის პოლიტიკას. პარტიის ხელმძღვანელობა, მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეებისადმი ერთგულება პროფკავშირების ძლიერების წყაროა, მათი წარმატებების საფუძველია.

საბჭოთა პროფკავშირებმა გადაჭრით დაგმეს ამას წინათ მხილებული მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის ანტიპარტიული ჯგუფი. შეთქმულთა იერიშებს პარტიის გენერალურ ხაზზე გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაეწია. ამ პირების ცდებში გამოვლინდა აგრეთვე ცდა ლაბვარი ჩაეცათ მუშათა კლასის მონოლითობისათვის, შეესუსტებინათ ხალხის, მისი მასობრივი ორგანიზაციების, მათ შორის პროფესიული კავშირების დარაზმულობა პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო. მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება. საბჭოთა პროფკავშირები მუდამ მიჰყვებოდნენ და მიჰყვებიან კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

პროფკავშირები, რომლებიც სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას, რომლებიც მთელ თავიანთ ძალებს აბმარენ კომუნიზმის მშენებლობას, თავიანთი შრომლიური კომუნისტური პარტიის ერთგული, მებრძოლი თანამშრომლები იყვნენ, არიან და იქნებიან.

ბ. მიხაილოვი.

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

სურათებზე: ზემოთ — საქართველოს ახალგაზრდული საესტრადო ორკესტრის შემსრულებლების ა. გელოვანისა და ჭ. კასრაძის გამოსვლა საქართველოს, ლუქსემბურგისა და მოსკოვის ოქტომბრის რაიონის ახალგაზრდობის შეხვედრაზე; ქვემოთ — ახალგაზრდობის მეგობრული საუბარი შეხვედრის დროს გამომცემლობა „პრავდის“ კლუბში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ბალი კრემლში

ჯერ კიდევ წინადღით სასტუმროებში, სადაც ფესტივალის მონაწილენი ცხოვრობენ, მივიდნენ მოსკოველი ქალაშვილები და ჭაბუკები. ისინი ეწვევნენ ყველა დელეგაციას და მიიწვიეს უცხოელი სტუმრები ბალზე მოსკოვის კრემლში.

3 აგვისტოს დაახლოებით საღამოს 7 საათზე ავტობუსები ზედიზედ მიადგნენ კრემლის მაცხოვრისა და ბოროვიცის კარებს.

ფესტივალის მონაწილენი მხიარულნი, ხმაურით შედიან კრემლში. მათ ეგებება საბჭოთა ახალგაზრდობა. მაცნეები იუწყებიან თვითეული დელეგაციის მოსვლას. ახალგაზრდობის მსოფლიო დღესასწაულის მონაწილეთ გარს ეხვევიან საბჭოთა დედაქალაქის ახალგაზრდა მცხოვრებნი, მიესალმებიან მათ, მიაცილებენ ტაინიცკის ბაღში, რომელიც კრემლის ბორცვის ძირში გადაჭიმულა.

უცხოელ ქალაშვილთა და ჭაბუკთა ყურადღებას იპყრობენ „სავაჭრო რიგები“. გამყიდველნი იწვევენ სტუმრებს — გაუსინჯონ გემო რუსულ კალაჩს, თაფლის კვერს, შესვან ლუდი, თაფლი, ხილის თუ მინერალური წყალი, ჭამონ ნაყინი. აქვე შეიძლება სამახსოვრო ნივთების შეძენა.

ბაღიდან თანდათანობით ყველანი ადიან კრემლის დიდ სასახლეში. მათ ხვდებიან კრემლის ბალის „დიასახლისები“ — ერთ-ერთი გამომცემლობის თანამშრომელი თამარ ივანოვა, კინემატოგრაფიის ინსტიტუტის სტუდენტი მიქაელა დროზდოვსკაია და თეატრალური ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტი სვეტლანა ალექსეევა. ქალაშვილები მეგობრებს უსურვებენ მხიარულად და საინტერესოდ გატარონ დრო, ხოლო ტაძრის მოედანზე დელეგატებს უკვე ელოდებიან ექსკურსიამძღოლები. იწყება კრემლის დათვალიერება. დელეგატები თვალიერებენ კრემლის დიდ სასახლეს, საჭურვლის პალატას, ძველ ტაძრებს.

მაცხოვრის კოშკის საათის მოოქრული ისრები საღამოს 9 საათს უახლოვდება. ბალის დიასახლისები მანქანით მივიდნენ ივანეს მოედანზე, სადაც უკვე შეკრებილა 15 ათასზე მეტი სტუმარი. ნაბატის, ვოდოვზვოდნის, ბოროვიცის, ტაინიცკის კოშკებიდან გაისმის ფანფარისტთა სიგნალი. მას ეხმაურებიან ივანე დიდის სამრეკლოზე მდგომი ფანფარისტები. ბალის ერთ-ერთი დიასახლისი მიმართავს ფესტივალის დელეგატებს:

— ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ, მოსკოვის ახალგაზრდობა, მოხარული ვართ მოგესალმოთ ჩვენს კრემლში. ჩვენ გვინდა კარგად დაისვენოთ, იმხიარულოთ. და ახალგაზრდობამ დაიწყო მხიარულება — ცეკვა, სიმღერა, დეკლამაცია, მონაწილეობა ატრაქციონებში.

ღამის 12 საათზე ფანფარისტთა სიგნალისა და მორიგი ვალსის შემდეგ სტუმრებს კიდევ ერთი სიურპრიზი მოუმზადეს. კრემლში სინათლე შეანელეს და ყველამ დინჯად დაუვიწყარი სანახაობა — საზეიმო სვლა ჩირაღდნებით მსახიობთა მონაწილეობით.

იმავე წამს ივანე დიდის სამრეკლოს კრემლის კედლებიდან ჰაერში აუშვეს ფერადფერადი რაკეტები. რაკეტები ჰაერში ადიოდნენ ხან ერთბაშად, ხან ცალცალკე. ფეიერვერკი კრემლზე! ვინც იგი ნახა, თავი ვერ შეიკავა ტაშისაგან. აღფრთოვანებული შეძახილებისაგან.

მოსკოვის კრემლში გამართულმა ბალმა წარუხოცელი შთაბეჭდილება დაუტოვა ფესტივალის დელეგატებს. ახალგაზრდობა აღფრთოვანებული, ბედნიერი ბრუნდებოდა კრემლიდან. ერთიან ერთსულოვან ოჯახად მიდიოდა ახალგაზრდობა წითელ მოედანზე და საყვარელ მოტივებს მღეროდა. (საკდესი).

მესამე საერთაშორისო სპორტული ასპარეზობა

მოსკოვი, 4 აგვისტო. მძლეოსნურ სექტორზე ქალთა ასპარეზობა ბადროს ტყორცნაში საბჭოთა სპორტსმენის პონომარიოვის გამარჯვებით დამთავრდა. მან ბადრო ტყორცნა 53 მეტრსა და 13 სანტიმეტრზე. ეს შედეგი მესამე საერთაშორისო მეგობრული სპორტული ასპარეზობის რეკორდია. ასპარეზობის ახალი რეკორდები დაამყარეს აგრეთვე: ბირთვის კვრაში — ზიბინამ (სსრ კავშირი — 16 მეტრი და 26 სანტიმეტრი), 800 მეტრზე რბენაში ვაჟთათვის — კაზიმერსკიმ.

მოსკოვის უნივერსიტეტის სასპორტო ბაზაზე დამთავრდა ფინალური ასპარეზობა კლასიკურ ჭიდაობაში. 8 წონითი კატეგორიიდან 7 საბჭოთა სპორტსმენი გახდა ჩემპიონი. ოქროს მედლები მოიპოვეს გარაევმა, კარავაევმა, ბელიგინმა, ქორიძემ, საფინმა, დობრევმა (ბულგარეთი), აბაშიძემ და ბოგდანმა. წარმატებით ჩაატარეს შეხვედრები საქართველოს მოჭიდაველებმა ქორიძემ და აბაშიძემ.

გრძელდება შეჯიბრება ცურვაში, წყალბურთსა და წყალში ხტომაში. გუშინ საღამოს საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდმა ამანათურვაში 4×200 მეტრზე ნებისმიერი სტილით სსრ კავშირისა და ასპარეზობის ახალი რეკორდი დაამყარა, რომელიც 8 წუთსა და 34,5 წამს უდრის. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სოროკინი, სტრუჟანოვი, ნიკოლაევი და ნიკიტინი (საქართველო).

წყალბურთელთა ასპარეზობას ლიდერობენ სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდები.

ფინალური ასპარეზობა კრიკეში დიდ ინტერესს იწვევდა. ბრძოლა დაძაბული და მრავალფეროვანი იყო. სსრ კავშირიდან ფინალში მონაწილეობას იღებდა 7 მოკრიკე. ჩემპიონები გახდნენ დობრესკუ (რუმინეთი), სპინეტი (იტალია), როზპერსკი (პოლონეთი), ტუმინში (სსრ კავშირი), ტამულისი (სსრ კავშირი), ლინკა (რუმინეთი), კორომისლოვი (სსრ კავშირი), ფეოფანოვი (სსრ კავშირი), სტანკოვი (ბულგარეთი), აბრამოვი (სსრ კავშირი). გამარჯვებულ სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები.

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ორი მეოთხედფინალური შეჯიბრება ფეხბურთში. პირველი შეჯიბრება გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებს შორის. ეს საინტერესო შეხვედრა მოიგეს ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებმა 1:0. ასპარეზობა სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით 6:0. ამრიგად, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის გუნდები ნახევარფინალში გავიდნენ.

მოსკოვი, 5 აგვისტო. (ტელეფონით). დამთავრდა შეჯიბრება ძძლეოსნობაში. ჩემპიონებს კიდევ ახალი ჩემპიონები შეემატა. წარმატებით გამოვიდა ახალგაზრდა საბჭოთა სპორტსმენი პიპინე, რომელმაც 1.500 მეტრი დაფარა 3 წუთსა და 41,1 წამში და სსრ კავშირისა და ასპარეზობის ახალი რეკორდი დაამყარა. საერთო ყურადღებას იპყრობდა რბენა 5.000 მეტრზე. ოქროს მედლის მთავარ პრეტენდენტებად თვლიდნენ ბოლოტნიკოვსა და ლაურენსს, მაგრამ ფინიშთან წინ გაიჭრა უნგრელი მძლეოსანი ნიკოლოზ საბო და ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ამანათრბენში ქალთათვის 4×100 მეტრზე თავი ისახელეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც ოქროს მედლები მოიპოვეს და თამაშების ახალი რეკორდი დაამყარეს.

ამანათრბენში ვაჟთა შორის 4×400 მეტრზე უძლიერესები იყვნენ საბჭოთა სპორტსმენები. 800 მეტრზე ქალთა შორის რბენაში ფინიშთან პირველი იყო გერმანელი დონატი, რომელმაც ასპარეზობის ახალი რეკორდი დაამყარა. სამმაგ ხტომაში გაიმარჯვა ბრაზილიელმა სპორტსმენმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და-სილვამ. ტროს ტყორცნაში ოქროს მედალი მოიპოვა კრივონოსოვმა (სსრ კავშირი, 62 მეტრი 91 სმ). მარათონული რბენა 42 კმ 195 მეტრზე დამთავრდა იუგოსლავიელი სპორტსმენის მიხალოსის გამარჯვებით.

საერთო ინტერესი გამოიწვია ცურვამ ვაჟთათვის 400 მეტრზე. ნებისმიერი სტილით სტარტის აღებისას დაწინაურდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ციროლდი და ოლიმპიური პრიზიორი თბილისელი ნიკიტინი. განსაკუთრებით მწვავე იყო ბრძოლა ფინიშთან. გაიმარჯვა გერმანელმა ძცურავმა, რომელმაც დაამყარა ასპარეზობის ახალი რეკორდი — 4 წუთი 31,4 წამი. ნიკიტინმა II ადგილი დიიკავა.

წყალბურთელთა ასპარეზობა ლონდონის პოლიტექნიკური ინსტიტუტის და ბელგიის გუნდებს შორის დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით 12:1.

კოშკურიდან წყალში ხტომაში ვაჟთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენმა ჩაჩბამ, რომელმაც 152,25 ქულა შეაგროვა. მშვილდოსნობაში ქალთა და ვაჟთა კოლექტივებს შორის გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა. მათ გადაეცათ სპეციალური პრიზები.

დაიწყო ფინალური შეხვედრები კალათბურთში. პირველი შეხვედრა რუმინეთისა და ბელგიის ქალთა გუნდებს შორის დამთავრდა რუმინელთა გამარჯვებით 74:37. უნივერსიტეტის სასპორტო ბაზაზე დაიწყო შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. საქართველოდან სსრ კავშირის ნაკრებ გუნდში შედის ორი მოჭიდავე — გობეჯიშვილი და მჭედლიშვილი.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ ხელმ. კორ.

აღმოსავლეთის კლასიკური ცეკვისა და ხალხური ცეკვის შემსრულებელთა საერთაშორისო კონკურსი. სურათზე: კავშირების ხახლის სვეტებიან დარბაზში. რუმინეთის ახალგაზრდობის თვითმოქმედი ანსამბლის გამოსვლა. ასრულებენ ტიმოშოარის ოლქის ცეკვას.

ფოტო ლ. დორენსკისა.
(საკდესის ფოტოქრონიკა).

ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი ქაბულში დაბრუნდა

ქაბული, 4 აგვისტო. (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირში მოგზაურობიდან ქაბულში დაბრუნდნენ ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი და მისი თანმხლები პირები.

მეფესთან ერთად ავღანეთში დაბრუნდა სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი.

ქაბულის აეროდრომზე ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურს, სამეფო ოჯ[illegible] წევრებს, სახალხო საბჭოსა და სენატის დ[illegible] ტატებს — ეროვნების [illegible] ბემიერ[illegible] ნისტრ მუჰამედ [illegible]ულის მოადგილით [illegible] სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე [illegible] სსრ წარმომადგენლები.

აეროდრომზე მეფემ მუჰამედ ზაჰირ შ[illegible] სიტყვა წარმოთქვა.

საბჭოთა ელჩის წერილი ინგლისის კოოპერაციული კავშირის საპარლამენტო კომიტეტის მდივნისადმი

ლონდონი, 1 აგვისტო. (საკდესი). სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში ი. ა. მალიკმა დღეს შემდეგი წერილი გაუგზავნა ინგლისის კოოპერაციული კავშირის საპარლამენტო კომიტეტის მდივანს ბ-ნ ვუდს:

პატივცემულო ბ-ნო ვუდ.

ინგლისის კოოპერატივების 88-ე ყოველწლიურ კონგრესზე მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს ატომგულის იარაღის გამოცდის შეწყვეტას და რომელიც გაეგზავნა საბჭოთა კავშირის მთავრობას და სხვა ქვეყნების მთავრობებს, დავალებული მაქვს გაცნობოთ შემდეგი:

საბჭოთა მთავრობას, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, ესმის და იზიარებს იმ კანონიერ შეშფოთებას, რასაც მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობაში იწვევს გამალებული შეიარაღების განგრძობა და მასთან დაკავშირებული ატომური და წყალბადის ბომბების გამოცდა.

საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვან საკითხში კარგად იცის მსოფლიო საზოგადოებრიობამ: იგი არაერთხელ ყოფილა გამოთქმული მთელ რიგ ოფიციალურ დოკუმენტებში და, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა დელეგატების განცხადებებში. საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იბრძვის მასობრივი მოსპობის იარაღის აკრძალვისათვის, როგორიც არის ყოველგვარი ატომგულის იარაღი. ასეთი გადაწყვეტილება ნაკარნახევია იმის აუცილებელი საჭიროებით, რომ აღმოიფხვრას ატომური ომის საფრთხე და ვიხსნათ კაცობრიობა შიმისაგან თავისი მომავლისათვის. ამასთან საბჭოთა კავშირი ცდილობს განიარაღების რთული და მრავალმხრივი პრობლემის გადაჭრის პირველ ნაბიჯად მიაღწიოს შეთანხმებას იმის შესახებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ატომგულის იარაღის გამოცდა.

ამ ცოტახნის წინათ, ხელმძღვანელობდა რა ამ კეთილშობილური მიზნით, საბჭოთა წარმომადგენელმა განიარაღების კომიტეტში შეიტანა ახალი წინადადება ორი-სამი წლით ატომური და წყალბადის ბომბების ყველა გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და ყველა მხარის მიერ ამ შეთანხმების პირობების დაცვისადმი საერთაშორისო კონტროლის დაწესების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი წინადადება გაკეთდა დასავლეთის ქვეყნების პოზიციის თვალსაზრისით, ეს უკანასკნელნი, სიტყვა მიესალმებიან რა საბჭოთა მთავრობის ამ ბიჯს, სამწუხაროდ, საქმით ყოველნაირ აკიანურებენ შეთანხმების მიღწევას ატომის იარაღის ყველა გამოცდის დროებით შეწყვეტის შესახებ.

ამრიგად, ამ გამოცდის შეწყვეტა დამოკიდებულია დასავლეთის სახელმწიფოთა, მათ[illegible] რის დიდი ბრიტანეთის მზადყოფნაზე [illegible] ყოფილნან საზოგადოების მტკიცე მოთხოვ[illegible] რადგან, რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, [illegible] უკვე დიდი ხანია განაცხადა, რომ საბ[illegible] კავშირი ყოველ წუთს მზად არის უარი თ[illegible] თავის გამოცდებზე, როგორც კი დასავლ[illegible] სახელმწიფოები დათანხმდებიან ამის გა[illegible] ბას. ზემოაღნიშნულის მიხედვით შეიძ[illegible] მხოლოდ მივესალმოთ კონგრესის რეზ[illegible] ციის მოწოდებას გაერთიანებული ერების [illegible] განიზაციის ყველა წევრი ქვეყნისადმი [illegible] ლონ თავიანთ დელეგატებს გაერთიანებ[illegible] ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამ[illegible] ზე, რომ მიაღწიონ ყველა ქვეყნის მიერ [illegible] ლა სახეობის ატომგულის იარაღის გამოსაცდ[illegible] აფეთქებათა დაუყოვნებლივ შეწყვეტას.

რაც შეეხება კონგრესის სურვილებს იმის[illegible] სახებ, რომ გაერთიანებული ერების ორგ[illegible] ზაციის ჩარჩოებში ხელმოწერილ იქნას [illegible] თავდაუსხმელობის შესახებ, აგრეთვე მოწ[illegible] იქნას განიარაღების კონფერენცია, როგ[illegible] ცნობილია, საბჭოთა მთავრობა გაერთიანებ[illegible] ერების ორგანიზაციის გენერალური ას[illegible] ლეის სესიებზე არაერთხელ სთავაზობდა [illegible] სახელმწიფოებს დაედოთ ერთმანეთს [illegible] მშვიდობის განმტკიცების პაქტი, აგრ[illegible] მოეწვიათ მსოფლიო კონფერენცია შეიარ[illegible] ბული ძალებისა და შეიარაღების შემცირ[illegible] საკითხის განსახილველად.

სამწუხაროდ, ამ წინადადებებს მხარ[illegible] დაუჭირეს დასავლეთის სახელმწიფოებმა.

პატივისცემით

ი. მალიკი

სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში

ბ-ნ **ვუდს,**

კოოპერაციული კავშირის საპარლამენ[illegible] კომიტეტის მდივანს.

ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწეები საქართველოში

საქართველოში ორ დღეს იყვნენ სტუმრად ბრაზილიის სენატორები დომინგო ველასკო და ხოსე და კოსტა პარანაიოსი მეუღლეებითურთ. ისინი სჯჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოწვევით.

ბრაზილიის სახელმწიფო მოღვაწეები დაინტერესდნენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების საკითხებით. გაეცნენ საქართველოს ღირსშესანიშნაობებს.

ისინი იყვნენ რუსთავში, თბილისის შ[illegible] ნერი ღვინოების ქარხანაში, დიღმის მ[illegible] ხეობის საბჭოთა მეურნეობაში. ბრაზილ[illegible] სტუმრები იყვნენ მცხეთაში.

ბრაზილიის სენატორები შეხვდნენ საქ[illegible] ველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომა[illegible] ვ. დ. კუპრაძეს.

4 აგვისტოს ბრაზილიის სახელმწიფო მ[illegible] ვაწეები სოჭში გაემგზავრნენ. (საკდესი).

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების საორგანიზაციო ბიურო

შეიქმნა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის საქართველოს რესპუბლიკური განყოფილების საორგანიზაციო ბიურო. საორგანიზაციო ბიუროს შემადგენლობაში შევიდნენ: გ. ს. ფირცხალავა — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი (თავმჯდომარე), გ. გ. გელაშვილი — გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი, ი. ა. ნატროშვილი — ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ რედაქტორი, ზ. ნ. ჰოღოსიანი — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ რედაქტორი, ს. ი. ჩიქოვანი — ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი, ი. ი. ჩხიკვიშვილი — გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორი, ბ. მ. შატბეროვი — საქდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

ჟურნალისტთა კავშირის განყოფილებათა საორგანიზაციო ბიუროები იქმნება აფხაზეთის, აჭარის ასს რესპუბლიკებსა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

უახლოეს ხანში დაიწყება მიღება სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრებად. [illegible] შირის წევრები შეიძლება იყვნენ პერიოდ[illegible] პრესის, საბჭოთა ინფორმაციის ორგანო[illegible] რადიოს, გამომცემლობათა პროფესიონალი ჟ[illegible] ნალისტები. სსრ კავშირის ჟურნალისტთა [illegible] შირში მისაღებ წევრებს უნდა ჰქონდეთ პრ[illegible] ში მუშაობის სტაჟი და გამოცდილება, პრ[illegible] გამოქვეყნებული სტატიები და კორესპონდ[illegible] ციები, რომლებსაც დამოუკიდებელი მნიშ[illegible] ლობა აქვთ. ჟურნალისტთა კავშირის წევრებ[illegible] მიღებას აწარმოებს კავშირის საქართველ[illegible] რესპუბლიკური განყოფილების საორგანიზ[illegible] ბიურო. ოფხაზეთში, აჭარასა და სამხრეთ ოს[illegible] ში კავშირში შესასვლელად საჭიროა ჟურ[illegible] ლისტთა კავშირის შესაბამისი საოლქო განყ[illegible] ფილების საორგანიზაციო ბიუროს რეკომენ[illegible] ცია. (საქდესი).

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

ტელეგადაცემათა პროგრამა

6 აგვისტოსათვის

20.00 — გადაცემა, მიძღვნილი გამოჩენილი ქართველი მსახიობის ნიკო გოცირიძის დაბადების 85 წლისთავისადმი. 20.40 — მხატვრული კინოფილმები „ორი სიცოცხლე“, „წყენა“.

შვილები ნიკოლოზ, გიორგი, მიხეილ, რძლები ნინო, მარო, იულია, სიძე მ. მამფორია ოჯახებით იუწყებიან

ფედოსი სიმონის ასულ კორძაძე-გეგეშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII, 6 ს. ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქუჩის V შესახვ. № 3.

დედა ბაბალე, მეუღლე სირანა, შვილები ლავრენტი, ნოდარ, ლამარა, ემალინა, ძმა კოტე, დები ეკატერინე, ანა, რძალი ნაზიკო, სიძე შ. დოროშენკო ოჯახებით იუწყებიან

პავლე ალექსის-ძე სულხანიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 5 1/2 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 59.

დედა ანა, მეუღლე მარიამ პაატაშვილი, დები ელენე, ნინო, თამარ, მარიამ, ძმა ვახტანგ, რძალი ქ. ლორთქიფანიძე, სიძეები გ. მიქაბერიძე, ს. ქიქოძე შვილებით იუწყებიან

შალვა გიორგის-ძე ნათაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 6 ს. მოსკოვის შესახვ. № 6.

მეუღლე სოლომონ, შვილები ნორა, გიორგი, ქეთო, სიძე ს. შენგელია, რძალი გ. გრიგოლაშვილი შვილებით იუწყებიან

ელენა გაბრიელის ასულ ჯიქია-ბოლქვაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 6 ს. არსენას ქ. № 28.

მეუღლე მარო, შვილები იზა, ცისანა, ძმა ისიდორე, დები ანიკო, თამარ ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე იაგორის-ძე ტოროშელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 6 ს. საბჭოს ქ. № 199.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შემრახველი სალაროებისა და სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოების თანამშრომლები იუწყებიან

სიმონ გიორგის-ძე ტრაპაიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII, 6 ს. ქ. მახარაძეში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 77.

მეუღლე სოფიო, შვილები არჩილ, ბაბილინა, შვილთა გარსიაშვილები იუწყებიან

დავით ზაქარიას-ძე გარსიაშვილის

გარდაცვალებას პანაშვიდი 6, 7-VIII, 8 ს. გამოსვენება 8-VIII, 4 ს. გოგიეთის ქ. № 10.

მამა ნესტორ, დედა მატრონა, მეუღლე ოლგა, შვილები გიორგი, გიგლა, ლამარა, ძმები ალექსანდრე, სევასტი, ეფრემ, ვარლამ, კ[illegible] რილე, დები ფაქიზო, ზინა, ლუბა ოჯახებით [illegible] იუწყებიან

ბაგრატ ჯიქიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VIII სოფ. ონოღიაში (გეგეჭკორის რ.).

დედა თამარ, მამა გელა, ძმა ნუგზარ ასა[illegible] თიანები ნათესავებით იუწყებიან ეატარა

მარინე ასათიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება 6-VIII, 6 ს. მელიქიშვილის ქ. № 6.

საერთაშორისო მიმოხილვა

დასავლეთ გერმანიის ოთხთა დეკლარაცია

ამას წინათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და დასავლეთის სამი სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა დასავლეთ ბერლინში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელსაც აქვს მაღალფარდოვანი სათაური: „გერმანიის გაერთიანების ერთობლივი პოლიტიკის პრინციპების შესახებ“. ამ დოკუმენტს წინასწარ გაუკეთა რეკლამა დასავლეთის პრესამ, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ახალ სტყვას“ გერმანიის საკითხში, მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ აქლემი დაწვინეს და რწყილი აშობინეს.

სწორედ ასეთი სიტყვებით დაახასიათა დასავლეთ ბერლინში ხელმოწერილი განცხადება ინგლისის გაზეთმა „ნიუს ქრონიკლმა“. „აქლემს რწყილი აშობინეს, — წერდა გაზეთი. — და ეს არავითარი სცენური ეფექტით არ დაიმალება“. ასეთსავე შეფასებას აძლევს დასავლეთ ბერლინის დოკუმენტს დასავლეთ გერმანიის ბევრი გაზეთი. „გამოურკვეველია, — კითხულობს, მაგალითად, ბონაუეზიული გაზეთი „ზიუდ დოიჩე ციტუნგი“, — რა საჭირო იყო ამდენი ოფლის დაღვრა იმისათვის, რომ ერთხელ კიდევ ზუსტად, პუნქტობით ჩაეწერათ ის, რაც მთელი გამოცდილების მიხედვით არ შეიძლება საერთოდ მიჩნეულ იქნას მოლაპარაკების ბაზად ან საგნად...“

დასავლეთის პრესა ამ შემთხვევაში მეტ რეალიზმს იჩენს, ვიდრე დასავლეთ ბერლინის განცხადების ავტორები. მათ თავიანთ დოკუმენტში შეიტანეს 12 პუნქტი. ყველა ეს პუნქტი იმეორებს იმას, რამაც უკვე გარდუვალი დაბრკოლებები შექმნა გერმანიის საკითხის გადაჭრის გზაზე: ამ პუნქტებში კვლავ დეკლარირებულია დასავლეთ გერმანიის დასავლეთის სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის პოლიტიკა და გამოცხადებულია უსაფუძვლო პრეტენზია იმისა, რომ ეს პოლიტიკა მთელ გერმანიაზე გავრცელდეს.

იმადება კითხვა, რათ დასჭირდათ დასავლეთის პოლიტიკოსებს გამოექვეყნებინათ ასეთი დოკუმენტი და საამისოდ რატომ აირჩიეს ახლანდელი მომენტი? უცხოეთის პრესას მიაჩნია, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და დასავლეთის სამი სახელმწიფოს მმართველი წრეები უფრანარეს ყოვლისა ხელმძღვანელობდნენ სურვილით — მხარი დაუჭირონ ადენაუერის პარტიის პოლიტიკურ პოზიციებს პარლამენტის მომავალ სექტემბრის არჩევნებში.

დასავლეთ ბერლინის დეკლარაცია „გერმანიის გაერთიანების ერთობლივი პოლიტიკის პრინციპების შესახებ“ დასავლეთის სახელმწიფოთა ახალი ცდაა ჩაშალონ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. ეს ცხადზე ცხადად ჩანს იქიდან, რომ დოკუმენტის ავტორები გერმანიის გაერთიანებას დასავლეთის წინადადებათა საფუძველზე აყენებენ განიარაღების პრობლემის გადაჭრის წინასწარ პირობად.

დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა და გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დასავლეთ ბერლინში, არის დივერსია, რომლის მიზანია გაართულოს როგორც გერმანიის საკითხის, ისე სხვა საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

ამ დოკუმენტით აისახა დასავლეთის სახელმწიფოთა საერთო კურსი, რომელნიც ცდილობენ ხელი შეუშალონ ამჟამად დასახულ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო მიზნებს ისახავს ამ დღეებში გამოქვეყნებული მეორე დოკუმენტი გერმანიის საკითხზე, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება მშვიდობისა და გერმანიის გაერთიანების უზრუნველყოფისაკენ გერმანელი ერის გზის შესახებ.

ეს დოკუმენტი ითვალისწინებს რეალურ ფაქტს, რომ არსებობს ორი გერმანული სახელმწიფო სხვადასხვა საზოგადოებრივი წესწყობილებით და სახავს ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის პრაქტიკულ გზებს. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სამართლიანად მიაჩნია, რომ არსებულ პირობებში შეუძლებელია მექანიკური შეერთება ორი გერმანული სახელმწიფოსი ერთ სახელმწიფოდ სრულიად გერმანიის არჩევნების გზით. შესაძლოა სხვა რამ — შეიქმნას სუვერენულ გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაცია საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ასეთი კონფედერაციის შესაქმნელად პირველი ნაბიჯი იქნებოდა დადებულიყო შეთანხმება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის გერმანელი ერისათვის ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

სავსებით აშკარაა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინადადებათა განხორციელება დიდი ნაბიჯი იქნებოდა გერმანიის ერთიანობის აღდგენისა და ევროპის მშვიდობის განმტკიცების გზაზე. საეჭვოა საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ ყოველივე ეს ხელს შეუწყობდა ყველა სხვა საერთაშორისო პრობლემის გადაჭრას.

მაგრამ დასავლეთის მმართველი წრეები დაჟინებით იცავენ თავიანთ დასავლეთ ბერლინის დოკუმენტს და იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იგი შეიცავს. ამით ისინი, როგორც სამართლიანად წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“, „ისწრაფვიან არა მარტო კიდევ უფრო გაძნელონ გერმანიის საკითხის გადაჭრა, არამედ შექმნან წინამძღვარები ახალი საერთაშორისო გართულებისა, რომლებიც ესოდენ ხელსაყრელია გამალებული შეიარაღების ახლანდელი მესვეურებისათვის“.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის განცხადების დასრულებული ანალიზი მოცემულია სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში, რომელიც ამა წლის 3 აგვისტოს გამოქვეყნდა.

ომანის ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის

ომანის არაბთა ტომები დაახლოებით ორი კვირაა მამაცურ ბრძოლას ეწევიან ინგლისელი კოლონიზატორების და მათი მარიონეტის — საიდ იბნ თემურის წინააღმდეგ, რომელიც მასკატის სულთანია.

ომანის მოსახლეობა, რომელსაც სათავეში უდგას იმამი ჰალებ ბენ-ალი, დიდი ხნის განმავლობაში სარგებლობდა დამოუკიდებლობით და თავის საქმეებში არ ირევდა არც ინგლისის ხელისუფლებს, არც მასკატის სულთანს. მაგრამ 1955 წლის დამლევს მასკატის სულთნის ჯარები, რომლებიც აღჭურვილი იყვნენ ინგლისის იარაღით და რომლებსაც ინგლისელი ოფიცრები სარდლობდნენ, შეიჭრნენ ომანის ტერიტორიაზე. ხელში ჩაიგდეს ომანის ძველი დედაქალაქი ნიზვა და აიძულეს იმამი ჰალებ ბენ-ალი დაეტოვებინა ეს ქალაქი. მიუხედავად ამისა, ომანის მოსახლეობა არ დაემორჩილა ოკუპანტებს. ამა წლის ივლისში ომანში აჯან